შპს "მაგთიკომი"
№ ED-26/05/21-022
21-05-2026 წ.

MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ გოგა გულორდავა

წევრებს: ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,
ბატონ ივანე მახარაძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს,

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის (შემდგომში - **კომისია**) 2025 წლის 25 დეკემბრის #გ-25-23/658 გადაწყვეტილების (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებაში „გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“) საფუძველზე დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოგიდგენთ შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში - **მაგთიკომი**) პოზიციას, კერძოდ:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის აღდგენის ვადა არ უნდა სცდებოდეს კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ დადგენილ ვადებს (შემდგომში - რეგლამენტი). როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნული დოკუმენტი მიღებულია 2006 წელს და ტექნოლოგიების/მომსახურების განვითარებასთან ერთად მისი რედაქცია აღარ პასუხობდა დარგში არსებულ გამოწვევებს. ამ გარემოების გათვალისწინებით, ავტორიზებული პირების აქტიური ჩართულობით, 2021 წელს განხორციელდა რეგლამენტის მაშტაბური ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვარიდან. შეგახსებებთ, რომ ცვილილებები არ შეხებია რეგლამეტის მე-8 („დაზიანების აღმოფხვრა“) და 8[1] („დაზიანებათა აღმოფხვრის ვადები“) მუხლებს, რომელ მუხლებზეც მიუთითებს წარმოდგენილი პროექტი. **ამასთან, აღსანიშნავია რომ 2021 წელს კომისიისაგან მივიღეთ დაპირება, რომ გაგრძელდებოდა მუშაობა რეგლამენტის აღნიშნული მუხლების დახვეწასა და ობიექტურ/რეალურ პირობებზე მორგებაზე, თუმცა დღემდე რაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა. ამრიგად, არსებული ადმინისტრაციული წარმოების**

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

შ-26-6/5257
21.05.26
2+1ფ

ფარგლებში მითითება ხდება იმ რეგლამენტზე, რომელზეც შეთანხმებული ვართ რომ შესაცვლელია, ვინაიდან ის მოძველებულია და არ პასუხობს დღევანდელ რეალობას. შესაბამისად, უფრო ლოგიკური და თანმიმდევრული იქნებოდა ჯერ რეგლამენტის ცვლილება და შემდგომ ეს წარმოება. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უახლოეს პერიოდში კომისიისა და ოპერატორების მონაწილეობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს რეგლამენტის ზემოაღნიშნულ მუხლებთან დაკავშირებულ შესაბამის ცვლილებებს.

პატივისცემით,

ანდრია ზოდელავა
გენერალური დირექტორის მოადგილე

დოკუმენტის ნომერი: **260521009**

Digitally signed by MagtiCom LLC
2026.05.21 13:55:04 +0400
მაგთიკომი
MAGTICOM